საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

01/09/2025

MES 7 25 0001109419

გადაწყვეტილება

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი

მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის №647704 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, დაკორექტირდეს "ხელოვნური ინტელექტი ადამიანური რესურსების მართვაში" სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელიც შეიცავს ენობრივ უზუსტობებს. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "Generative AI and Neural networks" ქართული სახელწოდება ითარგმნოს როგორც "გენერაციული ხელოვნური ინტელექტი და ნეირონული ქსელები" საბჭოს მიერ განისაზღვრა შემდეგი ფორმულირებით: „რეკომენდებულია, დაკორექტირდეს "ხელოვნური ინტელექტი ადამიანური რესურსების მართვაში" სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელიც შეიცავს ენობრივ უზუსტობებს. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "Generative AI and Neural networks" ქართული სახელწოდება ითარგმნოს როგორც "გენერაციული ხელოვნური ინტელექტი და ნეირონული ქსელები". ასევე, დაკორექტირდეს დარგობრივი ტერმინოლოგია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულების ქართულენოვან სილაბუსებში“. აღნიშნულის შედეგად არ შეცვლილა პირველი სტანდარტის შეფასება.

4.3 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია „რეკომენდებულია, გაიზარდოს პერსონალის ტრენინგების რაოდენობა, განსაკუთრებით ინგლისური ენის ცოდნის მიმართულებით“ საბჭოს მიერ გადატანილ იქნა რჩევების ნაწილში, შემდეგი ფორმულირებით: „სასურველია, გაიზარდოს პერსონალის ტრენინგების რაოდენობა, განსაკუთრებით ინგლისური ენის ცოდნის მიმართულებით“. შედეგად 4.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.5 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია „რეკომენდებულია ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს შემოსავლები და ხარჯები და სტუდენტების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას ფინანსური ზარალის გარეშე“ საბჭოს მიერ ამოღებულ იქნა.
აღნიშნულის შედეგად, მე-4 სტანდარტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 1 მარტამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 1 სექტემბრის სხდომის №1109333 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს ბლუმის ტაქსონომიას. რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების აღწერილობებში დაზუსტდეს შეფასების სახე(ებ)ი, მაგალითად, წერითი გამოცდა, ზეპირი გამოცდა და სხვა;
3. რეკომენდებულია, გაერთიანდეს სასწავლო კურსები "ინფორმაციული ტექნოლოგიები 1" და "ინფორმაციული ტექნოლოგიები 2";
4. არჩევითი კურსი "ხელოვნური ინტელექტის მონაცემების მართვა და მონაცემთა დიზაინი" არის რამდენიმე სავალდებულო კურსის წინაპირობა, როგორიცაა: "ხელოვნური

ინტელექტი და ფინტექი", "ხელოვნური ინტელექტი ოპერაციებში",ხელოვნური ინტელექტი და მომხმარებელთა ქცევა" და "ხელოვნური ინტელექტი ადამიანური რესურსების მართვაში". "ხელოვნური ინტელექტის მონაცემების მართვა და მონაცემთა დიზაინის" არჩევითი კურსი გახდეს სავალდებულო ან გაუქმდეს როგორც ზემოაღნიშნული კურსების წინაპირობა;

5. ამჟამად, "პროგრამირების შესავლის" კურსი არის "ინფორმაციული ტექნოლოგიები 1" კურსის წინაპირობა. რეკომენდებულია, წინაპირობების შემცირების მიზნით, გაუქმდეს აღნიშნული ან ნებისმიერი სხვა წინაპირობა;
6. რეკომენდებულია, დაკორექტირდეს "კიბერუსაფრთხოების შესავლის" კურსის სათაური კურსის აღწერილობის შესაბამისად, მაგალითად "ხელოვნური ინტელექტის როლი კიბერუსაფრთხოებაში";
7. რეკომენდებულია, ძირითადი სწავლის სფეროს და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა შეესაბამებოდეს კომპონენტში მისაღები კრედიტების საერთო რაოდენობას, რაც გააადვილებს სასწავლო პროცესს და გამორიცხავს კრედიტების არათანმიმდევრულ განაწილებას;
8. იმ შემთხვევაში თუ კურსები ხორციელდება ინტენსიური სწავლების რეჟიმში, როგორიცაა "მობილური აპლიკაციები 1" და "მობილური აპლიკაციები 2", რეკომენდებულია, აღნიშნული მითითებული იყოს სასწავლო გეგმაში;
9. რეკომენდებულია, დაკორექტირდეს "ხელოვნური ინტელექტი ადამიანური რესურსების მართვაში" სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელიც შეიცავს ენობრივ უზუსტობებს. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "Generative AI and Neural Networks" ქართული სახელწოდება ითარგმნოს როგორც "გენერაციული ხელოვნური ინტელექტი და ნეირონული ქსელები".
10. რეკომენდებულია, დაკორექტირდეს "ხელოვნური ინტელექტი ადამიანური რესურსების მართვაში" სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელიც შეიცავს ენობრივ უზუსტობებს. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "Generative AI and Neural networks" ქართული სახელწოდება ითარგმნოს როგორც "გენერაციული ხელოვნური ინტელექტი და ნეირონული ქსელები". ასევე, დაკორექტირდეს დარგობრივი ტერმინოლოგია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულების ქართულენოვან სილაბუსებში;
11. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებიდან ამოღებულ იქნას ისტორიის საგანი;
12. რეკომენდებულია, მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი საგანმანათლებლო პროგრამის დარგში ან სხვა სფეროში და სულ მცირე ხუთწლიანი პროფესიული გამოცდილება, ვინაიდან ბაკალავრის ხარისხის არ არის საკმარისი;
13. რეკომენდებულია, სტუდენტებმა მიიღონ სტრუქტურირებული უკუკავშირი სასწავლო კურსების შეფასების შედეგების შესახებ.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 14 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 14 აგვისტო.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის

გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე